112

112-ის დროით...

№31

მარტი, 2016

რედაქტორი ლიკა ალადაშვილი

ნომერზე მუშაობდნენ: თეა გზირიშვილი, სოფო ალექსიძე, ნატალია გელაშვილი,
სალომე გელუტაშვილი, ნინო ეკიზაშვილი, მარიამ ჯმუხაძე,
ჰენრიეტა ელიაური, მარიამ კიკნაძე

დიზაინი თეა კუპრაძე

01 დედის დღე 112-ში გვ.4

02 შს მინისტრმა 112-ის ორ თანამშრომელს მადლობის სიგელი გადასცა გვ.5

03 „ჩემი მეგობრები - ჩემი გარემოცვა" გვ.6-7

04 „პანონის ფარგლებში" გვ.8-9

05 112-ს გერმანიის ჯრიმინალური სამსახურის პრეზიდენტი ესტუმრა გვ.10

06 112-ს ყრუ და სმენადაქვეითებული პირები ესტუმრნენ გვ.11

07 112-ის ჯამპანიაში 160-ე ბაგა-ბაღი ჩაერთო გვ.12

08 ქალი, რომელმაც 2500 ბავშვი სიკვდილს გადაარჩინა გვ.14

09 პატარა გმირები გვ.15

10 მეძებარმა ძაღლმა შშმ პირი გადაარჩინა გვ.16

11 შეშინებული ძაღლის გადასარჩენად პოლიციამ მაგისტრალი გადაკეტა გვ.17

12 ფაქტები ხანძრების შესახებ გვ.19

13 უცნაური კანონები გვ.20

01

დედის დღე 112-ში

112-ის მამაკაცმა თანამშრომლებმა, დედის დღესთან დაკავშირებით, ქალბატონებს სპეციალურად მათთვის შექმნილი თაიგულები გადასცეს. ეს თაიგულები სოციალური თერაპიის სახლში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებმა დაამზადეს. უჩვეულო ფაქტურის ქაღალდიც კი, რომლისგანაც ყვავილებია დამზადებული, მათ მიერ შეიქმნა.

ეს ხელნაკეთი თაიგული, კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ შეზღუდული შესაძლებლობები არ არსებობს...

112 მადლობას უხდის სოციალური თერაპიის სახლში მომუშავე თითოეულ ადამიანს, განსაკუთრებული და ორიგინალური თაიგულებისთვის.





02

შს მინისტრის გადაწყვეტილებით 112-ის ორ თანამშრომელს მადლობის სიგელი გადაეცა

შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი მღებრიშვილმა 112-ის თანამშრომელ ქალბატონებს ქალთა საერთაშორისო დღე - 8 მარტი მიულოცა. მინისტრის სახელით, ორი ქალბატონი სამსახურეებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისა და მიღწეული წარმატებებისთვის მადლობის სიგელით დაჯილდოვდა.

მინისტრის მადლობის სიგელები 112-ის ოპერატიული მართვის სამსახურის თანამშრომლებს მაია ძაძამიასა და ანა გივიაშვილს 112-ის დირექტორმა გიორგი ბიჭაშვილმა პირადად გადასცა.



03

„ჩემი მეგობრები - ჩემი გარემოცვა“

112-ის ოპერატორები და ადმინისტრაციის თანამშრომლები შეუერთდნენ დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ კვირეულს, რომელიც წელს სლოგანით - „ჩემი მეგობრები - ჩემი გარემოცვა“ გაიმართა.

შეგახსენებთ, დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღე მეშვიდე წელია ყოველ 21 მარტს აღინიშნება. მისი მიზანი, დაუნის სინდრომის შესახებ საზოგადოების ინფორმირება, ასევე, ამ სინდრომის მქონე ადამიანების უფლებების დაცვა და აქტიურ ცხოვრებაში მათი მონაწილეობის უზრუნველყოფაა.

112

„კანონის ფარგლებში“

04

გადაცემას „კანონის ფარგლებში“ 112-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი, სოფო ალექსიძე ესტუმრა.

- რა არის 112 და რა შემთხვევაში უნდა დავრეკოთ. რამდენად მაღალია საზოგადოების შეგნება?

- შეგნება თუ არშეგნება საზოგადოების ბრალი არ არის. ეს ყველა ქვეყანაში ასეა და დრო სჭირდება იმის მიღწევას, რომ მოქალაქემ მხოლოდ გადაუდებელ შემთხვევაში დარეკოს 112-ზე. მიუხედავად იმისა, რომ 112 მხოლოდ 4 წელია რაც შეიქმნა, ჩვენ ძალიან კარგი შედეგები გვაქვს. 2013 წელს 7 500 000 ზარი შემოვიდა, 2015 წელს კი 6 000 000-მდეა ეს რაოდენობა შემცირებული. ყველაზე კარგი არის ის, რომ შემოსული ზარების მიზნობრიობა 15%-ით არის გაზრდილი. 112 არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მსოფლიოს 81 ქვეყანაში ფუნქციონირებს. ჩვენ 112-ში ვრეკავთ მაშინ, როდესაც გვჭირდება სასწრაფო დახმარების, სამაშველო სამსახურის ან საპატრულო პოლიციის გამოძახება. ნებისმიერ სხვა შემთხვევაში მოქალაქე აცდენს ოპერატორს. 112 არ უნდა ავკრიფოთ თამაშის მიზნით, შეურაცხყოფის მიყენების მიზნით... 24 საათის განმავლობაში 21 ათასი ზარი შემოდის, თითო ოპერატორს დაახლობით 300-მდე ზარის მიღება უწევს, ეს ნიშნავს, რომ ყოველ სამ წამში ერთი ზარი შემოდის. თანაც, მოგეხსენებათ, რა სახის... არავინ რეკავს დამშვიდებული.

- რა კითხვებზე უნდა გვქონდეს პასუხი?

- ყველას ვთხოვ, რომ ოპერატორის მიერ დასმულ ყველა შეკითხვას აუცილებლად გასცენ პასუხი. დამერწმუნეთ, არც ერთი ოპერატორი საკუთარი ინიციატივით არ სვამს კითხვებს. სხვადასხვა შემთხვევაზე არსებობს სტანდარტით გათვალისწინებული კითხვები. როგორც კი, ოპერატორი იწყებს მათი აზრით „უსარგებლო“ კითხვების დასმას, მოქალაქე ღიზიანდება. აუცილებელია ვიცოდეთ პაციენტის ასაკი, რა დაავადებები აქვს გადატანილი, რომ განისაზღვროს პრიორიტეტები. როგორც კი, მისამართს დავადგენთ, მაშინვე გადის ბრიგადა. მისამართის დადგენა კიდევ ცალკე პრობლემაა. მაგალითისთვის გეტყვით, რომ საქართველოში არის 7 წყნეთი.

არის სამი ძირითადი კითხვა: ეს არის ინიციატორის სახელი და გვარი, რაც აუცილებელია, ვინც რეკავს, ზარზე სწორედ ის არის პასუხისმგებელი, რადგან შეიძლება ცრუ ზარი იყოს, მეორე შეკითხვა არის, რა სჭირს და მესამე - მისამართი.

ვთხოვ მოქალაქეებს, უბრალოდ ყველა კითხვას გასცენ პასუხი. სამი კითხვის შემდეგ ბრიგადა გადის მისამართზე და დანარჩენი ინფორმაცია მათ გზაში „დაეწევათ". წნევის გასაზომადაც კი იძახებენ ბრიგადებს, დღის განმავლობაში შემოდის 10-20 ათასი გამოძახება და თბილისის მასშტაბით 93 ბრიგადა მუშაობს, უნდა მოხდეს პრიორიტეტების განსაზღვრა.

- როგორ უნდა დავრეკოთ 112-ზე?

- დარეკვისას სიმ ბარათიც კი არ არის აუცილებელი, მთავარია მოქალაქე იყოს საქართველოს ტერიტორიაზე და იმ ზონაში, სადაც იჭერს მობილური ტელეფონი. საქართველოს მასშტაბით გვაქვს ერთიანი პროგრამული ხედვა და თუკი მოქალაქე რეკავს ქუთაისიდან, ზარი შემოდის თბილისში, მაგრამ ინფორმაცია პარალელურ რეჟიმში აისახება საქართველოს მასშტაბით მდებარე ყველა პოლიციაში, სახანძრო და სასწრაფო დახმარების სამსახურებში.

- რა პრობლემებს იწვევს არამიზნობრივი ზარები და რა არის სადამსჯელო ღონისძიებები ამ დროს?

- 4 წლის განმავლობაში 32 800 000 ზარია შემოსული 112-ში, აქედან მხოლოდ 7 მილიონ შემთხვევაზეა დახმარება გაწეული, დანარჩენი კი არამიზნობრივი იყო. 2014 წლიდან გამკაცრდა სანქციები და ყველა იმ პირს, ვინც შეურაცხყოფის მიყენების მიზნით დარეკავს, მოუწევს ჯარიმის გადახდა.

- რა აქტივობებია დაგეგმილი ცნობიერების ამაღლების მიზნით და რომელი სეგმენტებია ამ მხრივ აქტიური?

- ჩვენ ჩავატარეთ კვლევა და აღმოჩნდა, რომ პრობლემურ სეგმენტს განეკუთვნებიან უცხოელები, 65 წელს გადაცილებული ადამიანები და სკოლის ასაკის ბავშვები. დაგეგმილი გვაქვს სკოლებისთვის სხვადასხვა სახის აქტივობა. გვინდა დერეფნებში სპეციალური საინფორმაციო დაფები ჩამოვკიდოთ, რომლებსაც დამატებითი ფუნქციებიც ექნება, მაგალითად სიმაღლის საზომი. ასევე, გვსურს, სახელმძღვანელოებში შევიტანოთ აღნიშნული ინფორმაცია, ვგეგმავთ 112-ის შენობაში სკოლის ბავშვებს ექსკურსიები მოვუწყოთ. უცხოელებისთვის სხვადასხვა სტრატეგიულ და ტურისტულ ადგილებში საინფორმაციო ბანერებს განვათავსებთ, აეროპორტში იგეგმება სხვადასხვა სახის აქტივობა.

- 2015 წელს საქართველომ გაიმარჯვა ნომინაციაში „განსაკუთრებული მოქალაქე". წელს სად იმართება ევროპის საგანგებო ნომრის ასოციაციის დაჯილდოების ცერემონია და თუ არის საქართველო წარდგენილი რომელიმე ნომინაციაზე?

- 112-მა ერთი წლის წინ დანერგა დაკავშირების საშუალება ყრუ და სმენადაქვეითებული პირებისთვის. სწორედ ამ ამბით ვართ წარდგენილნი ნომინაციაში „საუკეთესო ინოვაციური სერვისი" და ძალიან დიდი იმედი გვაქვს, რომ გავიმარჯვებთ.

წყარო: www.autoradio.ge

05

112-ს გერმანიის კრიმინალური სამსახურის პრეზიდენტი ესტუმრა

შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრ 112-ს საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფი გერმანიის ფედერალური კრიმინალური სამსახურის პრეზიდენტი ჰოლგერ მიუნხი დელეგაციასთან ერთად ეწვია.

გერმანელ სტუმრებს 112-ის დირექტორმა გიორგი ბიჭაშვილმა უმასპინძლა და გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრი დაათვალიერებინა. დელეგაციის წევრები ცენტრის მუშაობას, ასევე, ზარის მიღებისა და შეტყობინების დამუშავების პროცესს გაეცნენ.

სტუმრები 112-ის სამომავლო გეგმებითაც დაინტერესდნენ. დელეგაციის წევრებმა ქვეყანაში მოქმედი გადაუდებელი დახმარების ერთიანი ნომრის სერვისების და ფუნქციონირების შესახებ დეტალური ინფორმაცია მიიღეს.

06

112-ს ყრუ და სმენადაქვეითებული პირები ესტუმრნენ

112 აგრძელებს SMS და ვიდეო ზარის მომხმარებელთა რეგისტრაციის პროცესს.

2016 წლის 24 თებერვალს და 9 მარტს, 112-ის წარმომადგენლებმა ყრუ და სმენადაქვეითებული პირები დაარეგისტრირეს და დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს სერვისის შესახებ.

112-ის მიზანია SMS და ვიდეო ზარის სერვისის ბაზაში დაარეგისტრიროს საქართველოში მცხოვრები ყველა ყრუ და სმენადაქვეითებული პირი, რათა მათ საჭიროების შემთხვევაში დამოუკიდებლად შეძლონ გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრთან დაკავშირება.

შეგახსენებთ, რომ აღნიშნული სერვისით სარგებლობისათვის საჭიროა ყრუ და სმენადაქვეითებული პირების წინასწარი რეგისტრაცია 112-ის ვებგვერდზე:www.112.ge







07

112-ის სოციალურ კამპანიაში 160-ე ბაგა-ბაღი ჩერთო

112-ის სოციალურ კამპანიაში „ერთად შევამცირეთ არამიზნობრივი ზარები“ 160-ე ბაგა ბაღი ჩაერთო.

აღნიშნული კამპანია გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრში არამიზნობრივი ზარების შემცირებას ემსახურება. მნიშვნელოვანია, მოსახლეობამ იცოდეს, რომ 112-ზე უნდა დარეკონ მხოლოდ გადაუდებელი შემთხვევის დროს, მაშინ როცა ესაჭიროებათ პოლიცია, სახანძრო/სამაშველო სამსახური და სასწრაფო სამედიცინო დახმარება.

არამიზნობრივი ზარის განხორციელებით, 112-თან დაკავშირების საშუალებას არ ვაძლევთ მათ, ვისაც რეალურად ესაჭიროება გადაუდებელი დახმარება. #Isupport112

ეს საინტერესოა...



08

ქალი, რომელმაც 2500 ბავშვი სიკვდილს გადაარჩინა

ირენა სანდლერი, 1910 წელს პოლონეთში დაიბადა. მეორე მსოფლიო ომის დროს მან ვარშავის გეტოში ექთნად დაიწყო მუშაობა (მეორე ვერსიით კი სანტექნიკის შემდეგ). ხელსაწყოების ჩანთით მას გეტოდან ჩვილი ბავშვები გამოჰყავდა. ცოტა უფრო მოზრდილებისთვის კი სატვირთო საბარგულში ტომარა ჰქონდა. ირენეს მუდამ თან ახლდა ძაღლი, რომელიც დაგეშილი ჰყავდა და გერმანელი გუშაგებით გარშემორტყმული ბანაკის ჭიშკარში შესვლისას აყეფებდა.

ჯარისკაცები გაავებულ ცხოველს არ ეკარებოდნენ, მისი ყეფა კი პატარების ხმებს ფარავდა. ამ გზით ირენემ სიკვდილს 2500 ბავშვი გადაარჩინა.

1943 წელს, ირენა ნაცისტებმა ამხილეს და უმოწყალოდ სცემეს. მას სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს, თუმცა ჯალათი, რომელიც ბოლო გზაზე მიაცილებდა მოსყიდული იყო და მან ქალი საკნიდან გააპარა. ოფიციალურ მონაცემებში ის დახვრეტილად ჩაიწერა. ეს კეთილშობილი ქალი ომის ბოლომდე იმალებოდა, მაგრამ ქველმოქმედებას მაინც განაგრძობდა.

ირენას ყველა გადარჩენილი ბავშვის სია ჰქონდა, რომელიც შუშის ქილაში, თავისი ეზოს ბოლოს, ხის ძირში ჰქონდა დამარხული. ომის შემდეგ შეეცადა მოეძებნა მშობლები და შვილებთან დაეკავშირებინა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მათ უმეტესობას სიცოცხლე გაზის კამერებში დაესრულებინა. ბავშვები კი, რომლებიც გადაარჩინა, ან გაშვილებული იყვნენ, ან ბავშვთა სახლებში იზრდებოდნენ.

1965 წელს, ისრაელის სახელმწიფო მუზეუმმა მას „მსოფლიო ხალხთა წინამძღოლის“ წოდება მიანიჭა. 2007 წელს, კი მიენიჭა „თეთრი არწივის“ ორდენი.

ირენა სანდლერი ნობელის მსოფლიო პრემიაზე იყო ნომინირებული, თუმცა მის ნაცვლად პრემია ელ გორმა მიიღო, გლობალური დათბობის სლაიდშოუსთვის...

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ 65 წელი გავიდა, მაგრამ კვალი, რომელიც 6 მილიონი ებრაელის გენოციდმა დატოვა, ჯერ კიდევ არ განელებულა. საბედნიეროდ, არც მათი ხსოვნა მიმქრალა, ვისი გმირობაც ყოველგვარ ჯილდოზე მაღლა დგას...

2008 წელს, ირენა სანდლერი 98 წლის ასაკში გარდაიცვალა.

წყარო: წყარო: www.storytellers.ge

09

პატარა გმირები

მაიკლ ბოურონი, 8 წლის

მაიკლი მამასთან - ჯასტინთან ერთად მანქანით მგზავრობდა, როცა საბურავი დაზიანდა და ავტომობილი ამოყირავდა. რამდენიმე წუთის შემდეგ, ჯასტინი გონს მოვიდა. ფეხი რკინის ქვეშ ჰქონდა მოყოლილი, მაგრამ საქარე მინიდან გამოძრომა მოახერხა და სცადა მამაც გამოეყვანა, მაგრამ 8 წლის პატარა ბიჭს საამისოდ ძალა არ ეყო. შემდეგ მანქანაში შეძვრა და რაციი იპოვა, თუმცა ისიც დაზიანებული აღმოჩნდა. მამის მითითებების დახმარებით ბავშვმა რაციის ამუშავება შეძლო და დახმარება გამოიძახა.

აიდან ტერნერი, 10 წლის

აიდანის დედამ, ამანდა სმიტმა, აბაზანის მიღებისას უეცრად გონება დაკარგა და წყლის ქვეშ აღმოჩნდა. ბავშვი მალევე მიხვდა, რომ დედას რაღაც უჭირდა, დედას წყლიდან თავი ამოაწევინა და მაშინვე ბებიას დაურეკა, რომელიც ჰოსპიტალში მედდად მუშაობდა. ბებიამ სასწრაფო გამოიძახა. ქალი მაშინვე საავადმყოფოში გადაიყვანეს, ის გადარჩა და სამი დღის შემდეგ ოჯახს დაუბრუნდა.

წყარო: www.ibigdan.livejournal.com

10

მეძებარმა ძაღლმა შშმ პირი გადაარჩინა

სუმშინში 23 წლის საშა დაიკარგა. საშა ბავშვობიდან ავად იყო ცერებრალური დამბლით და მისი ერთადერთი გართობა ხანმოკლე სეირნობა იყო სუფთა ჰაერზე. ერთ დღეს, სეირნობისას გზა აერია და შინ ვეღარ დაბრუნდა.

ოჯახი ჯერ საკუთარი ძალებით ეძებდა დაკარგულს, თუმცა საშას მამა ბრმა იყო და ძებნაში მონაწილეობას ვერ იღებდა. ოჯახის წევრებს ეშინოდათ, რომ საშას შესაძლოა ჰაერზე სადმე ჩასძინებოდა და გაყინულიყო.

თანასოფლელები რამდენიმე საათის განმავლობაში ეძებდნენ დაკარგულს, მაგრამ უშედეგოდ. ოჯახის წევრებმა პოლიცია გამოიძახეს. მეძებარმა ძაღლმა მალევე აიღო კვალი და პოლიცია საშას ადგილსამყოფელთან მიიყვანა. ბიჭი ტყის პირას ცუდად გამხდარიყო, ხეს მიყრდნობოდა და ჩაძინებოდა. რომ არა ძაღლი, საშა გაიყინებოდა და დაიღუპებოდა.

11

შეშინებული ძაღლის გადასარჩენად პოლიციამ მაგისტრალი გადაკეტა

გერმანული ნაგაზი ლექსი დაიკარგა და მასაჩუსეტსის ჩქაროსნულ მაგისტრალზე აღმოჩნდა. ძაღლს მანქანის ბორბლებში დაღუპვის ყველა შანსი ჰქონდა. როდესაც ადგილზე მისული პოლიციელები ძაღლის გზის პირზე გატყუებას შეეცადნენ, მას პანიკა დაეწყო, შიშისგან საპირისპირო მიმართულებით გაიქცა და მთელი სიჩქარით მოძრავ მანქანებს შორის აღმოჩნდა.

ნაგაზის გადასარჩენად პოლიციელებს დროებით მოძრაობის შეჩერება მოუწიათ. მაგრამ ეს არ იყო ადვილი. მათ ხომ ერთ მონაკვეთზე მოძრაობის გადაკეტვა მოუხდათ, შესაბამისად მასთან დაკავშირებული კიდევ ორი მონაკვეთის კონტროლირება დასჭირდათ.

მას მერე, რაც მოძრაობა გაჩერდა, ლექსის ორცხობილით მიტყუებას შეეცადნენ. ყველა ძაღლს უყვარს ორცხობილა! კმაყოფილი და ბედნიერი ნაგაზი პოლიციის ფურგონში ჩახტა. სიხარულისგან ერთ-ერთი ოფიცრის ყავა დააქცია. მას უკვე არაფერი აშინებდა.

ლექსი მალე დაუბრუნეს პატრონს, რომელიც მის დაკარგვას ძალიან განიცდიდა.

წყარო: www.zooclub.ge



იცოდით, რომ...

12

ფაქტები ხანძრების შესახებ

- 1871 წელს, ჩიკაგოს ხანძრის შედეგად 17 000 შენობა დაიწვა. ამავე წელს, რამდენიმე მილის მოშორებით დაიწვა ქალაქი პეშტიგო. ცეცხლი გავრცელდა 5180კვ.მ. ფართობზე, მოიცვა ტყის უზარმაზარი მასივი და 17 ქალაქი. დაიღუპა დაახლოებით 2500 ადამიანი. ქალაქ პეშტიგოს ყველა მაცხოვრებელი გარდაიცვალა, მთელი სახანძრო ბრიგადები ჩიკაგოში იყო მობილიზებული და დახმარება მაცხოვრებლებმა ვერსაიდან მიიღეს. ეს შემთხვევა ტყის უდიდეს ხანძრად აღიარეს ისტორიაში.

- ქალაქი ცენტრალია (აშშ, შტატი პენსილვანია) 50 წლის წინ მომხდარი მიწისქვეშა ხანძრის გამო მიტოვებული აღმოჩნდა. ხანძარი მიტოვებულ შახტებში არსებულმა ნაგვის დაწვამ გამოიწვია. ნაგავი მეხანძრეებმა დაწვეს და შემდეგ ჩააქრეს კოცონი, მაგრამ ცეცხლი ბოლომდე არ ჩაქრა, ისევ გაღვივდა და მეზობელ შახტებზე გავრცელდა. მიწის ნაპრალებიდან კვამლმა და ჭვარტლმა დაიწყო დენა და ქალაქის მაცხოვრებლები იძულებულები გახდნენ ტერიტორია დაეტოვებინათ.

- ადრე, სასამართლოში აღძრული საქმის მასალები თუ დაიკარგებოდა ან განადგურდებოდა ხანძრის შედეგად, დამნაშავეს ბრალს კანონიერად ვეღარ წაუყენებდნენ და ამბობდნენ, რომ საქმე „დაიწვა“. საქმეები ხშირად იწვებოდა - ან სასამართლოს ხის შენობების, ან არქივების მიზანმიმართულად დაწვის გამო (ქრთამის საფასურად). 1776 წელს 16 წლის ფრანგ ჟან ბატისტ მურონს 100 წელი და 1 დღის ვადით კატორღა მიესაჯა ხანძრების სერიის მოწყობის გამო. 1876 წლის ნოემბერში მან ციხე ღრმა მოხუცებულმა დატოვა და რეკორდი დაამყარა როგორც ადამიანმა, რომელმაც ბოლომდე მოიხადა ყველაზე ხანგრძლივი სასჯელი.

- 1947 წელს, ტეხას-სიტიში ფრანგული გემის ტრიუმში დაგდებულმა სიგარეტის ნამწვმა გემის აფეთქება გამოიწვია. გემი 2300ტ. ამიაკის სელიტრით იყო დატვირთული და დარტყმითი ტალღა ისეთი ძლიერი გახლდათ, რომ სეისმოგრაფებმა ის აფეთქების ეპიცენტრიდან ათასი კილომეტრის რადიუსშიც კი დააფიქსირეს. ხანძარი მეზობელ გემებზე, ნავთობგადამამუშავებელ და ქიმიურ ქარხნებზე გავრცელდა, მეორე დღეს კიდევ ერთი სელიტრით დატვირთული გემი აფეთქდა. განადგურდა ათასობით შენობა, დაიღუპა 600-მდე ადამიანი, მათ შორის მოხალისე მეხანძრეთა რაზმიც. გადარჩენილმა ადამიანებმა გაქცევით უშველეს თავს. ქალაქის აღდგენას ასობით მილიონი დოლარი დასჭირდა.

13

უცნაური კანონები

აშშ

- ჩიკაგოში სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლება საჭმლის ჭამა სახლში, რომელიც იწვის.

- ქალაქ ევანსტონში (ილინიოსის შტატი) ხანძარი არის ერთადერთი შემთხვევა, რომლის დროსაც დასაშვებია ავტომობილში ტანსაცმლის გამოცვლა, სხვა შემთხვევაში ეს იკრძალება.

- ფორტ-მედისონში (აიოვას შტატი) მეხანძრეებმა 15 წუთი უნდა გაივარჯიშონ ხანძრის ჩასაქრობად წასვლამდე.

- სენტ-ლუისში მეხანძრეებს ეკრძალებათ გაშიშვლებული ან ღამის პერანგში გამოწყობილი ქალების დახმარება.

ისრაელი

- ველოსიპედის სამართავად ამ ქვეყანაში საჭიროა მძღოლის მოწმობა.

- დასვენების დღეებში აკრძალულია ყვირილი და მეზობლების შეწუხება.

მილანი

- მილანში აუცილებელი პირობაა, ქუჩაში მომღიმარი სახით დადიოდეთ. გამონაკლისია დაკრძალვა და საავადმყოფოში ვიზიტი. მოღუშული სახით მოსეირნე ადამიანი შეიძლება დაჯარიმდეს.

მარტი, 2016

როდის არ უნდა დარეკოთ 112

- პიცის შესაკვეთად
- ამინდის პროგნოზის გასაგებად
- ვალუტის კურსის გასაგებად
- სასტუმროს დასაჯავშნად
- ტაქსის გამოსაძახებლად
- ბილეთების დასაჯავშნად
- ტრანსპორტის განრიგის გასაგებად
- ელექტრო ენერგიასთან, ბუნებრივ აირთან და წყლის გრაფიკთან დაკავშირებით
- მედიკამენტებზე ინფორმაციის მისაღებად
- საგზაო ჯარიმებთან დაკავშირებულ საკითხებზე
- სანომრე ნიშნებთან დაკავშირებული კითხვებით
- მართვის მოწმობასთან დაკავშირებულ საკითხებზე

112

www.112.ge

№31
მარტი, 2016

112

112-ის დროით...